ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5803303

ნომერი: AR1873102

თარიღი : 18.01.2022

გაცემის თარიღი : 14.02.2022

გაცნობის თარიღი : 14.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "თბილისი დრაი პორტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405483454
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო ნემსაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026010171

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 27798.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 392.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 0.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.33.015.192) არსებული №01/0 შენობა/ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს დემონტაჟის მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 14/02/2022 წლიდან 14/12/2022 წლის ჩათვლით.
4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
4.1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;
4.4. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე შენობის კონსტრუქციული მდგრადობა.
4.5. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების დაუზიანებლად.
4.6. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
4.7. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4.8. გათვალისწინებულ იქნას მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგრადობის კვლევაში მითითებული რეკომენდაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.